პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 119 (3603)

1968 წ. 19 ივნისი. ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშგება-არჩევნები პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებებში

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებებში ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების თაობაზე მათი უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით.

საამქროების ფიზკულტურული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, საწარმოთა, დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტული კლუბების კრებები ან კონფერენციები, აგრეთვე, რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური საბჭოებისა და სპორტულ საზოგადოებათა კონფერენციები ამ შემოდგომით დაიწყება და 1969 წლის 1 თებერვლამდე უნდა დასრულდეს.

„ტულის დიდი პრიზის“ ლაურეატები

ტულა, 18 ივნისი. ო. ფხაკაძე (სსრ კავშირი), ი. კეჟკოვსკი (პოლონეთი) და ს. მოსკვინი (სსრ კავშირი) — აი, სამი ლაურეატი „ტულის დიდი პრიზისა“, რომლის გათამაშებაც გუშინ დამთავრდა.

პირველი უძლიერესი იყო სპრინტში, მეორემ მოიგო 1 კილომეტრზე გიტი ადგილიდან (1.08,68), მესამემ გაიმარჯვა გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში (4 კმ — 5.01,18).

ასპარეზობის უცხოელ მონაწილეთაგან გამოირჩეოდა ჰოლანდიელი ჰ. ნიუკამპი. იგი საუკეთესო იყო იმ 46 სპორტსმენში, რომელთაც სტარტი აიღეს 60 წრეზე (20 საშუალედო ჯილიშთან) ჯგუფურ რბოლაში. ნიუკამპმა 3 წრით ჩამოიტოვა ყველა მეტოქე. მეორე პრიზიორია პოლონელი კეჟკოვსკი, მესამე — ო. ბენევიცი (გფრ).

ტანდემებით რბოლაში პირველობდა ძლიერი ჰოლანდიური წყვილი ი. იანსენი — ლ. ლოვესანი. II ადგილზე გავიდა საბჭოთა დუეტი — ა. აგაპოვი — ი. ცელოვალნიკოვი. საბჭოთა სპორტსმენებმა გადამწყვეტ სერიაში დათმეს პირველობა.

ფრენა უფინიშოდ

ლეიწინო (პოლონეთი), **17 ივნისი.** საპლანერო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის მესამე რბოლაში 30-კილომეტრიან სამკუთხედზე 103 სპორტსმენიდან ვერც ერთი აეროდრომზე ვერ დაბრუნდა—ყველა სხვადასხვა მოედანზე დაეშვა.

პილოტების გაუფრთხილებლობის გამო შვეიცარიელი ე. ენრატისა და ბრაზილიელი ე. შუბერტის პლანერება ჰაერში ერთმანეთს შეეჯახა. საბედნიეროდ, ამას სერიოზული ზიანი არ მოჰყოლია.

იძულებითი დაჯდომის დროს თავისი „ზეფირ-4“ დაზიანა მსოფლიო ჩემპიონმა ი. ვრუბლევსკიმაც. ასპარეზობის მასპინძლებმა მიიღეს ზომები, რომ პლანერი სწრაფად შეკეთდეს.

ღია კლასში სხვებზე დიდი მანძილი გადალახეს შვეიცარიელმა რ. ზაილერმა — 276 კმ, ავსტრიელმა ჰ. ვედლმა — 272 კმ და შვედმა გ. აკსმა — 269 კმ. საბჭოთა პლანერისტებმა ვ. ჩუვიკოვმა და ე. რუდენსკიმ 248 კმ დაფარეს.

პლანერთა სტანდარტულ კლასში საუკეთესო შედეგები აჩვენეს ა. პერსონმა (შვეიცარია) — 270 კმ, ე. რეპპარონმა (ჰოლანდია) — 265, ბ. ბულუკინმა (ნორვეგია) — 265. საბჭოთა პლანერისტმა ი. კუზნეცოვმა 245 კმ დაფარა, ა. ზაიცევმ — 144 კმ.

საორიენტირო გამოანგარიშებით, კუზნეცოვმა, ჩუვიკოვმა და რუდენკიმ სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს.

ROGORC IQNA, AMINDI GAMOVIIDA

ლეიწინო, 18 ივნისი. მსოფლიო პირველობაზე მოასპარეზე პლანერისტებს, როგორც იქნა, ამინდი დაუდგათ. როცა 215-კილომეტრიან სამკუთხა მარშრუტში სწრაფფრენის სტარტი მიეცა, ბოლქვ-ბოლქვად შეკეხრეული ღრუბლები გამოჩნდა და ჰაერის აღმავალმა ნაკადებმა წამში დროდადრო 3-4 მეტრს მიაღწია.

ღია კლასის პლანერებში საუკეთესო შედეგი აჩვენა კანადელმა დ. ვებმა, რომელმაც მარშრუტი საათში 85,2 კმ საშუალო სისწრაფით დაფარა (1000 ქულა). მეორე იყო რ. შპენიგი (გფრ) — 84,6 კმ (983 ქულა), ხოლო მესამე — ი. ვრუბლევსკი (პოლონეთი) — 83,9 (964).

საბჭოთა სპორტსმენმა ე. რუდენსკიმ 78,2 კმ სისწრაფით დაფარა დისტანცია და 807 ქულით XI ადგილი დაიკავა, ვ. ჩუვიკოვი კი 761 ქულით (76,5 კმ) XVI ადგილზეა (სტარტი 101 პლანერისტმა აიღო).

სტანდარტულ კლასში ყველას აჯობა ამერიკელმა ჯ. მოფატმა, რომელმაც საათში 82,2 კმ სისწრაფე აჩვენა (1000 ქულა). II ადგილზეც აშშ-ს წარმომადგენელია — ა. სმითი — 81,2 (974). III ადგილი წილად ხვდა ბელგიელ ჰ. შტოუფს — 80,4 (954).

ა. ზაიცევმა 72,5 კმ სისწრაფით იფრინა და 753 ქულით XXI ადგილზე აღმოჩნდა, ი. კუზნეცოვი კი ოცდამეექვსეა (70,7 კმ, 707 ქულა).

ავსტრალიელი ჯ. ბლაკველი რთულ მეტეოროლოგიურ ვითარებაში მოპყვა, ამიღლე დაკარგა და დაჯდომისას მაღალი ძაბვის დენის მავთულებს წამოედო. პლანერი დაიმსხვრა, პილოტი კი მძიმედ დაშავდა.

შეჯიბრება კი თავისი გზით მიდის.

ჩემპიონებს ზეიმი გაუმართეს

23 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში კალათბურთელ ვაჟთა გუნდების მატჩის დამთავრების მაუწყებელი სირენა რომ გაისმა, ელექტროტაბლოზე ორი ორნიშნა ციფრი იყო აღბეჭდილი — 80:74. მასპინძლების — თბილისის დინამოელების გამარჯვებით დამთავრდა მათი მატჩი რიგის ვეფ-თან. ეს დინამოელთა რიგით გამარჯვებას კი არა, საბჭოთა კალათბურთის ოლიმპზე ასვლას ნიშნავდა, რომლიდანაც ჩვენი სახელოვანი კოლექტივი 14 წლის წინათ ჩამოვიდა და მას შემდეგ ამ მწვერვალს ერთგვარი მოკრძალებით უტევდა.

დიდი იყო გამარჯვება, უსაზღვრო იყო საქართველოს კალათბურთის გულშემატკივართა აღტაცება.

და აი, დადგა ჩვენს სახელოვან სპორტსმენებთან საზეიმო შეხვედრის ჟამი. საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გუშინწინ თავი მოიყარეს კალათბურთის მრავალრიცხოვანმა გულშემატკივრებმა, ფიზკულტურულმა მუშაკებმა, სპორტსმენებმა... ამ დღეს დინამოელებს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები და გარდამავალი პრიზი უნდა მიეღოთ. ამ ჯილდოზე ექვსჯერაა ამოტვიფრული თბილისის გუნდების სახელი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ გ. ყიხარულიძემ. მან ილაპარაკა იმ დიდ წარმატებაზე, რომელიც თბილისის „დინამომ“ მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატში, დამსწრეთ მოუთხრო საქართველოს კოლექტივთა სახელოვან ტრადიციებზე, ჩვენი გუნდების დიდ წვლილზე სამშობლო კალათბურთის მატიანეში.

კალათბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ რედკოლეგიის წევრმა ჰ. მიხალიოვმა მხურვალედ მიულოცა დინამოელებს ბრწყინვალე გამარჯვება და აღნიშნა, რომ კალათბურთში არ ყოფილა არც ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელშიც თავიანთი სიტყვა არ ეთქვათ საქართველოს წარმომადგენლებს. 1944 წლიდან დაწყებული, სსრ კავშირის ნაკრებში მუდამ თამამობდა საქართველოს წარმომადგენელი, წლეულს კი სსრ კავშირის „დიდ გუნდში“ 3 კალათბურთელია მიწვეული — ზ. საკანდელიძე, ა. სხიერელი და ს. კოვალენკო.

ჰ. მიხალიოვმა თბილისის დინამოელებს უსურვა გამარჯვება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მომავალ გათამაშებაში და მათ ოქროს მედლები და გარდამავალი თასი გადასცა.

თბილისის „დინამოს“ სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება მიულოცეს და მომავალ ბატალიებში წარმატება უსურვეს ქართული სპორტის ვეტერანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. შხვიცაბაიამ, კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ვ. თოხაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ლაღიძემ, ჟურნალ „ცისკრის“ მთავარმა რედაქტორმა ჯ. ჩარკვიანმა, ქართული კალათბურთის ვეტერანმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ს. თორთლაძემ, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა ჭადრაკში ნანა ალექსანდრიამ, უნივერსიტეტის სტუდენტმა ნ. ლეონიძემ, 126-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. ძოწენიძემ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

* * *

მანამდე კი საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა „დინამოს“ კალათბურთელთა მიღება. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი შეტანილია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში. ამას გარდა, გუნდი დაჯილდოვდა სამახსოვრო პრიზით, ხოლო მოთამაშეებს გადაეცათ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები. საპატიო სიგელები გადაეცათ, აგრეთვე, კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარეს ვ. თოხაძეს, „დინამოს“ გუნდის კომორგს ნ. ფოფხაძეს, რესპუბლიკის სპორტკავშირის უფროს მწვრთნელს ვ. ჯაფარიძეს, ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს ო. მდივანს, გუნდის მწვრთნელებს ლ. ინწკირველსა და გ. ავალიშვილს.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — თბილისის დინამოელთა ერთი ჯგუფი ოქროს მედლების მიღების შემდეგ. მარჯვნივ — მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ავალიშვილი; მარჯვნივ — კალათბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე ჰ. მიხალიოვი გარდამავალ პრიზს გადასცემს „დინამოს“ უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლ. ინწკირველს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



ბაიდარიო „იურგორლენის ირგვლივ“

სტოკჰოლმი, 18 ივნისი. ბარნაულელმა სტუდენტმა კ. კოსტენკომ ბრწყინვალედ მოიგო ბაიდარებით ტრადიციული რბოლა, რომლის სახელია „იურგორდენის ირგვლივ“. 10. 000 მეტრი მან 40 წუთსა და 15 წამში დაფარა და 3 წამით ჩამოიტოვა II ადგილზე გასული შვედი ლ. ანდერსონი.

ასპარეზობაში, რომელიც სკანდინავიის გაზეთმა „დაგენს ნიუჰეტერმა“ მოაწყო, ბევრმა უცხოელმა ნიჭიერებამ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ევროპის ჩემპიონის კოსტენკოს უპირატესობა დამაჯერებელი იყო.

„რუსმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“, — წერს დღეს „დაგენს ნიუჰეტერი,“ რომელმაც მოთხრობას კოსტენკოზე ასეთი სათაური მისცა: „ციმბირელი მოთხილამურე საუკეთესოა „დაგენს ნიუჰეტერის“ შეჯიბრებაში“ (გაზეთი აღნიშნავს, რომ ზამთრობით კოსტენკო სათხილამურო სპორტში ვარჯიშობს).

საბჭოთა სპორტსმენები კარგად გამოვიდნენ 5000 მეტრზე ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაშიც. დრიბასმა და კალიაგინმა II ადგილი დაიკავეს (19.22) რუმინელთა წყვილის მაქსიმ—ციმინიოვის შემდეგ (18.52). ერთადგილიანებით ამავე დისტანციაზე გ. ზამოტინი და ნ. პროკუპეცი მეოთხე და მეხუთე იყვნენ.

სპარტაკიადის XIX ღლიუკი

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის მეხუთე დღეს დამთავრდა შეჯიბრებები კიდევ ხუთ სახეობაში — სპორტულ ტანვარჯიშში, ტყვიის სროლაში, ფარიკაობაში, ველოსპორტსა და ფეხბურთში (II ჯგუფი).

სპორტულ ტანვარჯიშში, ტყვიის სროლაში, კალათბურთსა და ველოსპორტში I ჯგუფის კოლექტივებში ყველას აჯობეს თბილისის ნაკრებმა გუნდებმა.

II ჯგუფის ფეხბურთელთა შორის ტოლი არ ჰყავდათ ცხაკაიელებს, II ჯგუფის ველოსიპედისტთა შეჯიბრება კი ზუგდიდის ნაკრებმა მოიგო.

9 სახეობაში დამთავრებული ტურნირების შემდეგ (კალათბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ფრენბურთი, სპორტული ტანვარჯიში, ხელბურთი, ტყვიის სროლა, ფარიკაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ველოსპორტი) საერთო გუნდურ ჩათვლაში (I ჯგუფი) დაწინაურდა თბილისის ნაკრები (80 ქულა). აღსანიშნავია, რომ თბილისელებმა ცხრავე სახეობაში გაიმარჯვეს. II ადგილზეა ქუთაისის ნაკრები (64), III — აჭარისა (56).

გუშინ სპარტაკიადაში ჩაებნენ მოკრივეები (სოხუმში), კლასიკური სტილის მოჭიდავეები, მოცურავენი და ჩოგბურთელები. დღეს სტარტს აიღებენ მძლეოსნები, წყალში მსტომელები და I ჯგუფის ფეხბურთელები.

* * *

სურათზე: თბილისელ და ქუთაისელ ხელბურთელთა შეხვედრის მომენტი. ბურთს კარში ტყორცნის თბილისელი ხ. ახობაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

შრომასა და სპორტში

წინა კვირას „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე ფიზკულტურელთა 25-ათასიანი არმიის წარგზავნილები XXI რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობისთვის მზადყოფნას უპატაკებდნენ საზოგადოების საქართველოს საბჭოს. 14 სახეობაში ჩემპიონთა ტიტულების მოსაპოვებლად 650 ყველაზე ძლიერი სპორტსმენი იბრძვის...

დიდი სამამულო ომი. ქვეყანას მშრომელი ხელი სჭირდებოდა. მთავრობამ სწორედ მაშინ მისცა ცხოვრების საგაზური ახალ სპორტსაზოგადოებას. ლუჩჯ ფორმებში გამოწყობილი ჭაბუკებისა და ქალიშვილების ხელით იგებოდა ტანკები და ცნობილი „კატიუშები“. ომი რომ დამთავრდა, მათ სტადიონებზე და სპორტდარბაზებში დაიწყეს გამარჯვებისთვის ბრძოლა. შრომა და სპორტი მართლაც შუადმ მხარდამხარ დგას „შრომითი რეზერვების“ ცხოვრებაში. მაგალითად, ახლა ფიზკულტურელთა კოლონაში იყვნენ თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 პროფტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენლები, რომელთა ნამუშევრებსაც ბევრ გამოფენაზე მოუპოვებიათ აღიარება. ამ სასწავლებლის სპორტსმენები კი ჩვენს ქვეყანაში უძლიერესებად არიან ცნობილი.

„შრომითი რეზერვების“ სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს საბჭოს წარმომადგენლები ზედიზედ 7 წელიწადს ისაკუთრებდნენ ცენტრალური საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას, 1967 წელს კი II ადგილი დაიკავეს.

მაშ, ასე. კომკავშირის 50 წლისთავისა და „შრომითი რეზერვების“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა დაიწყო. კვირამდე დამთავრდა შეჯიბრებები კრივში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, სპორტულ ტანვარჯიშში. სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ჭაბუკებში 11 ქულით ლიდერობს ქუთაისის მე-4 პროფტექნიკური სასწავლებელი. მასთან 3 ქულით აგებენ შარშანდელი ჩემპიონები, თბილისის მე-11 სასწავლებლის წარმომადგენლები. III ადგილზეა თბილისის 31-ე პროფტექნიკური სასწავლებელი. ქალებმა დაამთავრეს შეჯიბრება ტანვარჯიშში — გაიმარჯვა ქუთაისის 37-ე პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდმა.

კიდევ რამდენიმე ჩანაწერი კვირა-დღის ასპარეზობის შესახებ:

...ხარბები ბილიკი. პირველი გარბენი ცრუ სტარტით დაიწყო. ეს გახლდათ ფოთის მე-12 პროფტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენელი ვ. მასლოვა, რომელმაც შემდეგ მოიგო ეს გარბენი: 100 მ — 14 წამი. ეს იყო ორიენტირი შეჯიბრების სხვა მონაწილეებისთვის. შედეგი მალე „გაუქმეს“. ფინალში თბილისის 23-ე სასწავლებლის მოსწავლემ ს. გონჩაროვამ 13 წამი აჩვენა, პირველად შესრულა II თანრიგის ნორმატივი და სპარტაკიადის პირველი ჩემპიონი გახდა. ჭაბუკებში საუკეთესო შედეგი (11,7 წამი) აჩვენა თბილისელმა ა. ოგანესიანმა (31-ე სასწავლებელი). შარშანდელმა ჩემპიონმა რ. წიკლაურმა (თბილისის მე-11 სასწავლებელი) ტიტული არ დათმო: 400 მეტრზე მას 54,9 წამი დასჭირდა. ჩემპიონობა მოიპოვა მისმა ამხანაგმა ჯ. ნარიმანიძემაც, რომელმაც ბირთვი 10,04 მეტრზე ჰკრა.

მოცურავეთა შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდნენ თბილისის 31-ე პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენები ვ. ონუფრიენკო და ჯ. ჩაბაკური. ონუფრიენკომ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 1.00,2 აჩვენა, ჩაბაკურმა კი ამავე მანძილზე გულაღმა ცურვაში — 1.09,0.

ბრძოლა გააჩაღეს ფრენბურთელებმაც. პირველ მატჩში დიდი მოწონება ხვდა ქუთაისის 42-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ქალთა გუნდის 15 წლის კაპიტანს დ. თოფურიძეს. კარგად თამაშობდნენ გუნდის დანარჩენი წევრებიც. შედეგად, გაიმარჯვება რუსთავის მე-16 სასწავლებლის გუნდთან — 2:0. თბილისის 32-ე სასწავლებლის ჭაბუკებმა დაამარცხეს ქუთაისის მე-4 სასწავლებლის გუნდი — 2:0.

სპარტაკიადა გრძელდება.

ვ. ბუკინი.

ოსწავლეთა წლევანდელ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში უმთავრესად 1952 წელს დაბადებულნი ასპარეზობენ. შეჯიბრებებში არ მონაწილეობენ მეათეკლასელები და მთელი უფროსდღება VIII-IX კლასების ბავშვებზეა გამახვილებული. სწორედ ამ კონტინგენტის ბაზაზე დაკომპლექტდება ნაკრები გუნდები, რომლებიც გაიხად XI საკავშირო სპარტაკიადაში მიიღებენ მონაწილეობას. იქნებ სწორედ ამან განაპირობა, რომ წლევანდელ სპარტაკიადაში გუნდები შედარებით სუსტად გამოდიან: ხარვეზები თითქმის ყველა სახეობაში შეიმჩნევა.

წლევანდელი შეჯიბრებები მომავალი, XI სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით ტარდება და სწორედ ახლა უნდა გაირკვეს, რაში ჩამოვრჩებით, რა უნდა ვიღონოთ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და არსებულ შესაძლებლობათა გათვალისწინებით დავგეგმოთ სამერმისო საქმიანობა.

დღეს გაგაცნობთ თავისუფალ ჭიდაობასა და ფრენბურთში დამთავრებულ შეჯიბრებათა შედეგებს.

მაჯის კვალზე

„ფალავანთა კლუბში“ სამ დღეს გასტანა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებამ. I ჯგუფში გამარჯვებისთვის იბრძოდა 6, ხოლო მეორეში — 20 გუნდი. ასპარეზობდა სულ 153 ნორჩი ათლეტი. I ჯგუფის კოლექტივთა შორის უძლიერესის სახელი დაისაკუთრა თბილისის ნაკრებმა. II ადგილი დაიკავა ქუთაისის, ხოლო III — აჭარის გუნდმა. II ჯგუფში ყველას აჯობეს კასპელებმა, რომლებსაც სახელგანთქმული მოჭიდავე ლ. კაციაშვილი ავარჯიშებს. გამარჯვებულებს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩნენ საგარეჯოელები. III ადგილი წილად ხვდათ ახმეტის წარმომადგენლებს, რომელთაც წლეულს პირველად სცადეს ძალა სპარტაკიადაში.

დებულების თანახმად, I ჯგუფის გუნდები ხალიჩაზე სრული შემადგენლობით (ათივე წონაში) გამოვიდნენ, II ჯგუფის გუნდებს კი მხოლოდ 5 სპორტსმენის გამოყვანის უფლება ეძლეოდათ. შეიძლება ეს სწორიც იყოს, ვინაიდან ჯერჯერობით რაიონების უმეტესობას თავისუფალ ჭიდაობაში სრული გუნდების დაკომპლექტების საშუალება არა აქვს. მაგრამ არის ისეთი რაიონებიც, რომლებსაც სრული გუნდების გამოყვანა შეუძლიათ. დავასახელოთ, თუნდაც, კასპი. ამ რაიონიდან სპარტაკიადაში 5 მოჭიდავე მონაწილეობდა და სამმა მათგანმა ჩემპიონობაც მოიპოვა. სარბიელზე მეტი სპორტსმენის გამოყვანის და თანაც I ჯგუფში ჭიდილის უფლება რომ მიეცათ, კასპელებს, შესაძლოა, უძლიერესის სასელიც დაესაკუთრებინათ. იგივე შეიძლება ითქვას საგარეჯოელებსა და ახმეტელებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან სუსტად გამოვიდნენ წყალტუბოს, მესტიის, თერჯოლის, ლანჩხუთისა და ლაგოდეხის გუნდები.

პირადი პირველობისთვის დიდი ბრძოლა გაჩაღდა. დაბალი წონების (75 კილოგრამამდე) მოჭიდავენი უკეთ იყვნენ მომზადებული. მაგალითად, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა კასპელმა ი. მაღალაშვილმა. მოწონებას იმსახურებენ თბილისელები ა. ავდალიანი და ა. ბიჭიაშვილი, გარდაბნელი თ. კონიაშვილი, ყაზბეგელი ი. ჩოფიკაშვილი. პრიზიორთა შორის მოხვდა თბილისელი ბ. ბალავაძეც. ამ უკანასკნელმა სულ რაღაც 4 თვეა მოჰკიდა ხელი ჭიდაობას და უკვე პირველ წარმატებასაც მიაღწია. ჭაბუკი, როგორც ჩანს, მაგის — საკვეყოდ ცნობილი ათლეტის ვახტანგ ბალავაძის კვალზე აპირებს წასვლას.

* * *

პირადი ასპარეზობის პრიზიორები

48 კგ. 1. ი. მაღალაშვილი (კასპი), 2. ა. გულუა (სამტრედია), 3. ა. მარგიევი (ცხინვალი).

52 კგ. 1. ა. ავდალიანი (თბილისი), 2. თ. კონიაშვილი (გარდაბანი), 3. ო. მაისურაძე (რუსთავი).

56 კგ. 1. ა. ხუციშვილი (კასპი), 2. თ. პაპიაშვილი (თბილისი), 3. ე. ლილუაშვილი (ქუთაისი).

60 კგ. 1. ა. ბიჭიაშვილი (თბილისი), 2. გ. თედიაშვილი (საგარეჯო), 3. ი. ჩოფიკაშვილი (ყაზბეგი).

65 კგ. 1. ვ. მუმლაური (კასპი), 2. შ. ახმედოვი (თბილისი), 3. რ. ბუზარიაშვილი (საგარეჯო).

70 კგ. 1. თ. ბლუაშვილი (თბილისი), 2. დ. ბერუაშვილი (ცხინვალი), 3. რ. ლობჟანიძე (ონი).

75 კგ. 1. ზ. ქინქლაძე (ახმეტა), 2. ი. გველესიანი (ზესტაფონი), 3. ა. ყორეოლიანი (ბათუმი).

81 კგ. 1. ე. ქვარიანი (ქუთაისი), 2. ა. დიღმელაშვილი (საგარეჯო), 3. ბ. ბალავაძე (თბილისი).

87 კგ. 1. ე. აკოფოვი (თბილისი), 2. ა. გაგუა (სამტრედია), 3. თ. ლორთქიფანიძე (ქუთაისი).

87 კგ-ს ზევით. 1. შ. ფხაკაძე (ქუთაისი), 2. გ. მაისურაძე (ონი), 3. ი. ციციშვილი (თბილისი).

* * *

სურათზე: კასპელი ა. ხუციშვილისა (ზემოდან) და თბილისელი თ. პაპიაშვილის შეხვედრის მომენტი.

ფოტო ი. იუნაევისა.



ალმაცერელი ფეხბურთელი კომბინატორი?

ფრანგურთელთა შეჯიბრებაში გოგონათა და ჭაბუკთა 8-8 გუნდი მონაწილეობდა. თავდაპირველად მოასპარეზენი 2-2 ქვეჯგუფად დაიყვნენ. აქ I ადგილებზე გაჟულნი I-II ადგილების ბედის გასარკვევად შეხვდნენ ერთმანეთს, მომდევნო ადგილებზე გასულნი III-IV ადგილებისთვის იბრძოდნენ და ა. შ.

გოგონათა I ქვეჯგუფში უძლიერესი იყო აფხაზეთის ნაკრები, რომელმაც დაამარცხა ქუთაისის (3:2), რუსთავისა (3:0) და წყალტუბოს (3:0) გუნდები. II ქვეჯგუფში იმარჯვეს თბილისელებმა. ფინალის გზაზე მათ სამივე შეხვედრა „მშრალი“ ანგარიშით (3:0) მოუგეს აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და გარდაბნის ნაკრებ კოლექტივებს.

I-II ადგილებისთვის ბრძოლაში თბილისელებმა სძლიეს აფხაზეთის წარმომადგენლებს — 3:0. დანარჩენი ადგილებისთვის გამართული შეხვედრების შედეგები ასეთია: III-IV. ქუთაისი — სამხრეთ ოსეთი 3:1; V-VI. აჭარა — რუსთავი 3:1; VII-VIII. გარდაბანი — წყალტუბო 3:1.

ჭაბუკთა I ქვეჯგუფშიც ყველას აჯობა აფხაზეთის ნაკრებმა, რომელმაც მოუგო გარდაბნის (3:1), აჭარისა (3:2) და გორის (3:0) გუნდებს. II ქვეჯგუფში ტოლი არ ჰყავდათ თბილისელებს. მათ ერთნაირი ანგარიშით (3:0) გაიმარჯვეს ქუთაისის, რუსთავისა და სამხრეთ ოსეთის ფრენბურთელებთან, ხოლო ფინალში იოლად სძლიეს აფხაზეთის ნაკრებს — 3:1.

დანარჩენი ადგილებისთვის ბრძოლა ასე წარიმართა: III-IV. გარდაბანი — რუსთავი 3:0; V-VI. აჭარა — ქუთაისი 3:0.

მატჩი VII-VIII ადგილებისთვის არ შედგა იმის გამო, რომ სამხრეთ ოსეთის ნაკრები შეჯიბრებიდან მოიხსნა. მიზეზი ის გახლდათ, რომ გუნდის წევრთა ასაკი დებულებით გათვალისწინებულზე მეტი იყო, მოწმობები კი ყალბი ჰქონდათ. ამის გარდა, მოთამაშენი სხვისი გვარით გამოდიოდნენ. საინტერესოა, რა „პედაგოგიური“ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა სამხრეთ ოსეთის ფრენბურთელთა ნაკრების მწვრთნელი ფ. კოჩიევი, რომელმაც ასეთი სიყალბით მოინდომა ფონს გასვლა? ეფექრობთ, განათლების ორგანოები მკაცრად იმსჯელებენ მის უმგვანო საქციელზე.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ, თბილისელთა გარდა, სხვა მოზარდ ფრენბურთელთა ტექნიკური მომზადება (ტაქტიკურზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია) ძალიან დაბალია. ერთობ მცირეა პერსპექტიულ მოთამაშეთა რიცხვიც. ჭაბუკთაგან უპირადღებას იმსახურებენ ო. ჩერნიკი, გ. აბესალაშვილი, ზ. მარგველაშვილი (სამივე — აფხაზეთი). ეს არის და ეს. გოგონებში თითოეროლა სპორტსმენი თუ იძლევა დიდ იმედს.

როგორც ხედავთ, რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელებს შ. მარგველასა და ს. ტარანჩიანს დიდი არჩევანი არა აქვთ. საკავშირო სპარტაკიადა კი, მოგეხსენებათ, გაისად გაიმართება და მზადებას ახლავე უნდა შეუდგეთ. განათლების სამინისტრომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს ახლავე უნდა დაუგეგმოს ამხანაგური შეჯიბრებები სხვა რესპუბლიკების ძლიერ გუნდებთან, უნდა მოეწყოს ნორჩ სპორტსმენთა გამაჯანსაღებელი შეკრებები და ა. შ.

„ლელოს“ ბრიგადა.

შრომასა და სპორტში

უმეტესობა ნაყოფიერად...

წითელწყაროს რაიონის პარტიული აქტივის მორიგი კრება ფიზკულტურასა და სპორტს მიეძღვნა. ასპარეზობდნენ შარშანდელი მუშაობის შედეგებზე და სამერმისო ამოცანებზე.

მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ი. ბალაშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ე. ნატროშვილმა, განათლების განყოფილების ინსპექტორმა მ. ისაიაშვილმა, ქვემო ქედის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ღუბიანურმა, რაიონის სამხედრო კომისარმა შ. კასუმაშვილმა, ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კობაიძემ, გამარჯვების საშუალო სკოლის დირექტორმა ხ. ილუღიშვილმა, პუპრპროდუქტების წითელწყაროს სარეალიზაციო ბაზის დირექტორმა ა. ბაღაშვილმა, სპორტკავშირის რაისაბჭოს თავმჯდომარემ გ. ყოჩიაშვილმა, ჯაფარიძის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ დ. ბოსტოღანაშვილმა, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა ლ. ტუტუნაშვილმა, დოსაფის რაიკომის თავმჯდომარემ კ. სეხნიაშვილმა და რაიონის მთავარმა ექიმმა ი. გონაშვილმა.

აქტივზე ითქვა, რომ რაიონის 50 ფიზკულტურულ კოლექტივში 9000-მდე კაცია გაერთიანებული. ორგანიზაციების უმეტესობა ნაყოფიერად მუშაობს, რამაც რაიონს საშუალება მისცა წარმატებით შეესრულებინა თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადების შარშანდელი გეგმა. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ არბოშიკის, არხილოსკალოს, ჯაფარიძის, ზემო ქედის, ქვემო ქედის ფიზკულტურული კოლექტივები, მაგრამ ასე არ ითქმის ოზაანის, სოფელ წითელწყაროსა და საბათლოს კოლმეურნეობებზე. აქტივმა უსაყვედურა სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელმაც დღემდე ვერ შეძლო რაიონში სპეციალური სპორტული მაღაზიის გახსნა. გააკრიტიკეს რაიონის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებიც, რომლებიც სათანადო დახმარებას ვერ უწევენ რაიონულ ტურნირებს.

აქტივის მუშაობა შეაჯამა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. გონაშვილმა. შემდეგ მიიღეს სათანადო გადაწყვეტილება.

ბ. ყოჩიაშვილი,
სპორტკავშირის თავმჯდომარე.
ბ. კაკალაშვილი.
წითელწყარო.

ევროპის რეკორდები ძალოსნოგაში

1968 წლის 19 ივნისისთვის

წონა	რეკორდსმენი	კგ	დამყ. წელი
	აჯიმვა		
მჩატე	ი. ფიოლდი (უნგრეთი)	124	1968
ქვემსუბუქი	ი. ფიოლდი (უნგრეთი)	131,5	1967
მსუბუქი	ე. კაცურა (სსრ კავშირი)	145,5	1966
ქვესაშუალო	ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი)	160,5	1968
საშუალო	ნ. ხოროშაევი (სსრ კავშირი)	165,5	1967
ქვემძიმე	ბ. იუპანსონნ (შვეცია)	172,5	1968
მძიმე	ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი)	201,5	1967
	ატაცი		
მჩატე	ა. ვახონინი (სსრ კავშირი)	111	1968
ქვემსუბუქი	დ. შანიძე (სსრ კავშირი)	117,5	1968
მსუბუქი	ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი)	135,5	1967
ქვესაშუალო	ი. ნაზაროვი (სსრ კავშირი)	142	1967
საშუალო	ვ. ბელიაევი (სსრ კავშირი)	150,5	1968
ქვემძიმე	ი. ტალტსი (სსრ კავშირი)	153,5	1968
მძიმე	ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი)	175,5	1967
	აკვრა		
მჩატე	ა. ვახონინი (სსრ კავშირი)	144	1967
ქვემსუბუქი	დ. შანიძე (სსრ კავშირი)	151	1968
მსუბუქი	ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი)	170	1967
ქვესაშუალო	ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი)	183,5	1967
საშუალო	დ. ვერეში (უნგრეთი)	190	1966
ქვემძიმე	ი. ტალტსი (სსრ კავშირი)	195,5	1968
მძიმე	ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი)	220	1968
	სამჯიდი		
მჩატე	ი. ფიოლდი (უნგრეთი)	365	1965
ქვემსუბუქი	ნ. ნოვაკი (პოლონეთი)	382,5	1967
მსუბუქი	ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი)	440	1967
ქვესაშუალო	ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი)	472,5	1968
საშუალო	ვ. ბელიაევი (სსრ კავშირი)	485	1966
ქვემძიმე	ი. ტალტსი (სსრ კავშირი)	510	1968
მძიმე	ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი)	590	1967

* * *

დღეს ლენინგრადში იწყება კონტინენტის პირველობა. საბჭოთა ათლეტების უპირატესობა რომ შევნიშნოთ, მნიშვნელოვანი დაკვირვება არცაა საჭირო: 28 რეკორდიდან 19 მათ ეკუთვნით. დანარჩენი რეკორდები ასე ნაწილდება: 4-4 უნგრელებსა და პოლონელებზე მოდის, ერთი რეკორდის ავტორი შვეციელია. აქედან ყველაზე ხანდაზმულია ფიოლდის რეკორდი სამჭიდში. 3 რეკორდი დამყარებულია 1966 წელს, 12-12—1967 და 1968 წლებში. იმედია, ლენინგრადის ფორუმი დაარღვევს ამ შეფარდებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქვემსუბუქ წონაში ნოვაკის ევროპული რეკორდი (382,5) უდრის საკავშირო რეკორდს, რომელიც ქართველ ძალოსან შანიძეს ეკუთვნის. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პოლონელის რეკორდი შარშანაა დამყარებული, შანიძემ კი ამ შედეგს წლეულს მიაღწია. ლენინგრადში ორივე ძალოსანი იასპარეზებს და მათი ბრძოლა ბევრს საინტერესოს ჰპირდება სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა.

მჩატე წონაში ფიოლდის რეკორდს დიდი ხანია ამაოდ ეშუქრებიან საბჭოთა ათლეტები და თავად უნგრელი სპორტსმენიც. ეს ჩემპიონატი იტყვის თავის სიტყვას, მით უმეტეს, რომ რეკორდზე ყველა მოიერიშე ზამთრის სტადიონის ფიცარნაგზე გამოვა.

მსუბუქ წონაში ბადალი არ ჰყავს შესანიშნავ პოლონელ ათლეტს ბაშანოვსკის. ალბათ, უმთავრესი ბრძოლა დანარჩენი სპრინგო ადგილებისთვის გაჩაღდება.

დანარჩენ წონით კატეგორიებში საბჭოთა ათლეტებს არ უნდა გაუჭირდეთ გამარჯვება. ეჭვს იწვევს მხოლოდ საშუალო წონა, სადაც ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვის გამოიყვანენ სსრ კავშირის გუნდის მწვრთნელები.

მძიმე წონაში კვლავ ეულად იგრძნობს თავს ჟაბოტინსკი, ვინაიდან კონტინენტზე მას დირსეული მეტოქე არ ეგულება. თუ იგი კარგ ფორმაში იქნა, შესაძლოა იერიში მიიტანოს ამერიკელი რ. ბედნარსკის მსოფლიო რეკორდებზე აჭიმვასა და აკვრაში.

ევროპის ჩემპიონატში პირველად დაჯილდოვდებიან არა მარტო სამჭიდში საპრიზო ადგილებზე გასული ათლეტები, არამედ ცალკეულ სახეობებში პირველი 3 ადგილის მფლობელნიც.

გუნდური პირველობისთვის ძირითადად იბრძოლებენ საბჭოთა, პოლონელი და უნგრელი ძალოსნები.

მაშ ასე, ამაღამ გაირკვევა კონტინენტის პირველი ჩემპიონის ვინაობა.

ა. მხეიძე.

,,დომბაი“ ჩემპიონურად თამაშობს

ჩერქესკი (ყარაჩაი-ჩერკესის აეტონომიური ოლქი), 18 ივნისი. დამთავრდა მოტობურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი წრე. ლიდერობს ადგილობრივი „დომბაი“, რომელმაც არა მარტო საკავშირო სარბიელზე გაითქვა სახელი, არამედ საერთაშორისოზეც. ჯერჯერობით 11 ადგილზეა ელისტის „კომეტა“. იგი ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება. ჩემპიონატი აგვისტოში დასრულდება.

,,ჩვენ ამბობ რესპუბლიკაში“



სევასტოპოლი. ქალაქის საიახტო კლუბის წევრები ნავებს შეჯიბრებისთვის ამზადებენ.

ფოტო ი. ილიენკოსი.



ბედნიერების ხეობაში

ბურიატიის ასსრ. ახლახან ბურიატიის ტურიზმის ხაბჭომ გახსნა ახალი ბაზა — „ქარიულაპიას ტბა“. კოხტა შენობა პატარა ტბის პირად დგას ულრგალანტუისის ხეობაში, რაც „ბედნიერების ხეობას“ ნიშნავს. ტბის სახელწოდება უკვე წარმატებას ჰპირდება მოყვარულ მეთევზეებს. ამ ტბაში მარტო ქარიულაპია კი არა, სხვა თევზიც უხვადაა. დამსვენებელთა განკარგულებაშია ნავები და კატარღა.

ტურისტული მარშრუტები ბაზიდან მდინარე ზაგუსტაიმდე და მისი ხეობის გასწვრივ — ტაიგაში მიემართება.

ხურათზე: ტურბაზის საერთო ხედი.

ფოტო მ. ბარაბანოვისა.

,,ბოლო ინავე

„განთიადის“ ქუთაისის საქალაქო საბჭო (თავმჯდომარე მ. ტურაბელიძე) ერთ-ერთი მოწინავეა ჩვენს რესპუბლიკაში. 35 კოლექტივში 16 ათასამდე ფიზკულტურელი და საზოგადოების ამდენივე წევრია გაერთიანებული.

ჯამბრთველობის შარშანდელ საქალაქო სპარტაკიადაში, რომელიც ორ ტურად გაიმართა, ყველა ასაკის 17 ათასამდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ორ ტურად ჩატარდა მძლეოსნური კროსიც. ეს სახეობა ყველაზე მასობრივი აღმოჩნდა — შეჯიბრების ყველა ეტაპზე 27 ათასზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა. საქალაქო საიუბილეო სპარტაკიადაში განთიადელ ლ ე ბ მ ა პროგრამით გათვალისწინებული 29 სახეობიდან 17-ში პირველობა დაიკავეთრეს; საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს და თასიც შეინარჩუნეს.

ქუთაისის განთიადელებმა წარმატებით იასპარეზეს პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპარტაკიადასა და ბევრ სხვა შეჯიბრებაში, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. გადაპარებით შესრულდა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების შარშანდელი გეგმა. ამან განაპირობა, რომ საქალაქო საბჭომ ვადამდე გაანაღდა ოსტატებისა და პირველთანრიგოსნების მომზადების ხუთწლიანი გეგმა.

განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშაეს საავტომობილო ქარხნის, აბრეშუმის კომბინატის, ელექტრომექანიკური ქარხნის, მაუდის, № 4 და № 8 საკვერვალო ფაბრიკების, მე-4 სამშენებლო ტრესტის, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხნების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოსა და ქალაქის სპორტკავშირის სოციალისტურ შეჯიბრებაში ქუთაისის „განთიადის“ საქალაქო საბჭომ მეორედ მოიპოვა პირველობა და გარდამავალი დროშა.

მაგრამ წარმატებებთან ერთად ცვლა უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლიც. მაგალითად, დღემდე ვერ გამოიცოცხლდა ღვინის, რძის, ლუდის, რკინა-ბეტონის ქარხნების, ოგრეთვე, ტრიკოტაჟის ფაბრიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობა, ბევრგან არ ტარდება საწარმოო ტანვარჯიში.

ლ. ფაჩუაშვილი.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

გამსვლელი სამეცნიერო სესია

ამ დღეებში საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია თელავში. მოხსენებებით გამოვიდნენ ინსტიტუტის მასობრივი ფიზკულტურის სექტორის გამგე ლ. ქვანია („ფიზიკური კულტურა და ჯანმრთელობა“), უფროსი მეცნიერ-მუშაკი ნ. შიმნიაშვილი („სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდა“), უმცროსი მეცნიერ-მუშაკები ზ. ბაღდავაძე („საწარმოო ტანვარჯიში და მისი მნიშვნელობა“), ც. კაკაბაძე („ფიზიკური ვარჯიშის გავლენა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ორგანიზმზე“), ინსტიტუტის შტატგარეშე თანამშრომელი ვ. ზაზაძე („სპეციალური სამედიცინო ჯგუფის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა“).

მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

მომზადების ხუთწლიანი გეგმა

იასპარეზეს მასწავლებლებმა

ახლახან ზუგდიდის განათლების ორგანოების მუშაკებს ეწვივნენ თბილისის ლენინის სახელობის რაიონის მასწავლებლები. სტუმრებმა და მასპინძლებმა სპორტის სამ სახეობაში — ფრენბურთში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში იასპარეზეს. ღონისძიება მოაწყო და ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნა განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რეგიონალურმა კომიტეტმა.

თბილისელებმა გაიმარჯვეს ფრენბურთში, მასპინძლებმა — ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ა. გაკურაძე.

დევისის თასიც „გაქვხსნათ“?

მელბურნი, 18 ივნისი. თავად ავსტრალიელებმა—„ვერცხლის სასალათის“ ოცდაორგზის მფლობელებმა — გადადგეს პირველი ნაბიჯი, რომ დევისის თასის გათამაშებას, ამ არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატს სამოყვარულო ახასრეზობა აღარ ერქვას. ავსტრალიის ჩოგბურთის ასოციაციას განზრახული აქვს ივლისში წამოაყენოს წინადადება, რომ დევისის თასის გათამაშება მისაწვდომი იყოს ყველასათვის, მათ შორის, პროფესიონალებისთვისაც.



მძლეოსნური გლობუსი

ბუდაპეშტი, 17 ივნისი. ბირთვის კვრაში ევროპის რეკორდსმენმა, საბჭოთა ათლეტმა ე. გუშჩინმა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 18,96 მ აჩვენა და პირველობა კონტინენტის ორგზის ჩემპიონს, უნგრელ ვ. ვარიუს დაუთმო, რომელსაც ხულ 3 სმ დააკლდა გუშჩინის რეკორდამდე (უნგრელის შედეგია 19,64 მ). ა. შჩუპლიაკოვი, რომელმაც 68,56 მეტრზე ტყორცნა ურო, ასევე მეორე იყო. აქ ყველას აჯობა მსოფლიო რეკორდსმენმა დ. ფიოფოცკიმ (უნგრეთი) — 70,18. ა.-ბ. კოვაჩ-ტოტმა (უნგრეთი) ხუთჭიდში წლევანდელი მსოფლიო ხეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 4924 ქულა.

ლონდონი, 17 ივნისი. მარათონულ რბენაში იაპონიის ჩემპიონმა, 26 წლის კ. კემიხარამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა საერთაშორისო მარათონში, რომლის ტრასა ინგლისის ქალაქებს — ვინძორსა და ჩიზვიკს შორის გადიოდა. იაპონელის დროა 2:15.15.

კოტბუსი, 17 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში გდრ-ის ახალი რეკორდი დაამყარა მარგიტა გუმელმა, რომელმაც 17,72 მეტრზე ჭარა ბირთვი (მეორე შედეგი მსოფლიოს სტადიონებზე წლეულს). კარინ ილგენმა (გდრ) 59,38 მეტრზე ტყორცნა ბადრო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა კარინ ბალცერმა 80 მეტრზე თარჯრბენში 10,5 წამი აჩვენა.

ვარშავა, 17 ივნისი. აქ პოლონეთის ახალი რეკორდი დაამყარა ჭოკით მხტომელმა ლ. ბუჩერმა — 510 სმ. ამავე შეჯიბრებაში წლეულს ევროპაში საუკეთესო დრო აჩვენა 400 მეტრზე რბენაში ა. ბადენსკიმ — 46,2.

ბერკლი, 17 ივნისი. კალიფორნიის ამ ქალაქში ჩატარდა ამერიკელ სტუდენტ მძლეოსანთა პირველობა. შეჯიბრება მაღალი შედეგებით აღინიშნა. 100 მ 10,1 წამში სამმა ხპრინტერმა გაირბინა. პირველი იყო კუნძულ ტაიაკის შვილი ლ. მილერი. შემდეგ არიან ამერიკელები კ. ბლოსონი და ხ. დევისი. ჭოკით ხტომაში ყველას აჯობა 20 წლის ჯ. ვონმა (აშშ) — 519 სმ. მეტისმეტად თავისებურად მოხტუნავე ამერიკელმა დ. ფოსბიურიმ პირადი რეკორდი დაამყარა — 219 სმ. 1500-მეტრიან დისტანციაზე რაიანი საახპარეზოდ არ გამოსულა. ბრძოლა ურეკორდსმენოდაც ხაინტერესო იყო. გაიმარჯვა ამერიკელმა დ. პატრიკამ — 3,39,9. ლ. ევანსმა (აშშ) 400 მ 45 წამში გაირბინა. დიდი ბრიტანეთის ახალი რეკორდი დაამყარა აშშ-ს ერთ-ერთი კოლეჯის სტუდენტმა, ინგლისელმა დ. ჰემერიმ: 400 მეტრზე თარჯრბენში მისი შედეგია 49,8.

მესამე ტრადიციული

ეროვნული ბიბლიოთეკა





საქართველოსა და ავსტრიის მოკრივეთა შეხვედრები ტრადიციად იქცა. ქართველმა სპორტსმენებმა პირველად 1966 წელს უმასპინძლეს ავსტრიელებს, შარშან კი ვენაა ესტუმრნენ საპასუხო ვიზიტით.

და აი, 16 ივნისს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მესამე შეხვედრა.

ავსტრიის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი ჰ. კამერერი გულთბილად მიესალმა ქართველ სპორტია მოყვარულებს. საპასუხო სიტყვით გამოვიდა კრივის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე ბ. კვინიხიძე.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა თ. ფურცელაძემ მესამე ტრადიციული საერთაშორისო შეხვედრა გახსნილად გამოაცხადა.

ჩვენს ნაკრებში ამჯერად არ იყვნენ სახელოვანი სპორტსმენები ვ. ცერცვაძე, მ. მამამთავრიშვილი, გ. ვარდანიანი, რ. აკოფოვი და სხვები, ვინაიდან ავსტრიელებმა ახალგაზრდული კოლექტივი გამოიყვანეს სასპარეზოდ.

... რინგზე არიან მჩატე წონის მოკრივეები ვ. სულაკაძე და ვენის ჩემპიონი ა. ლენკი. ქართველი მოკრივის გააზრებულმა, ტექნიკურად დახვეწილმა ბრძოლამ მასპინძლებს პირველი ქულა შესძინა.

მ. არუთინოვმა დაძაბულ ორთაბრძოლაში სძლია ვ. ენცინგერს, თუმცა თბილიელმა ამ შეხვედრაში თავისი შესაძლებლობა სრულად ვერ გამოავლინა.

აღსანიშნავია სოხუმელი ზ. გვაჯავას წარმატება საერთაშორისო სარბიელზე. ამ ნიჭიერ სპორტსმენს სულ 2 წუთი დასჭირდა საიმისოდ, რომ ნოკაუტში გაეგზავნა ავსტრიის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ფ. ჰეკი.

მომდევნო შეხვედრაში მ. მარქარიანმა აჯობა ზალცბურგის სამგზის ჩემპიონს ც. ტრაუზმუნდს.

სასიხარულოა დიდ სარბიელზე სამი ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენის ზ. გუნიას, გ. მამისეიშვილისა და შ. ხოსიაურის გამოსვლა. გუნიასა და მამისეიშვილს მეტად მძიმე ბრძოლა გადახდათ ავსტრიის სამგზის ჩემპიონებთან: პირველს — გ. ლაიცინგერთან, მეორეს — გ. ფრაუენლობთან. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯებმა დამარცხება ჩაუთვალეს, მათ მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. რაც შეეხება თბილისელ სტუდენტს ხოსიაურს, მან მხოლოდ ორი რაუნდი მოანდომა ვენის ჩემპიონის ვ. როიკის დამარცხებას.

ძლიერი მეტოქე ჰყავდა თბილისელ ოსტატს ვ. ყველაშვილს. ევროპის პირველობის პრიზიორმა, ავსტრიისა და ვენის სამგზის ჩემპიონმა ფ. ფრაუენლობმა თავიდანვე შეუტია მასპინძელს, ხოლო, როცა მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა, ბრძოლის ყაიდა შეცვალა. მსაჯთა დავის შემდეგ მცირე უპირატესობით გამარჯვება სტუმარს მიეკუთვნა.

თბილისელმა ს. გოცულმა ამჯერად გუნდის ინტერესები გაითვალისწინა და მისთვის უჩვეულო — ქვედამე წონაში გამოვიდა. მან სავალებით გაამართლა იმედი: უკვე მეორე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო ავსტრიის ჩემპიონატის პრიზიორი ე. ხუპიკი.

თბილისელი ვ. კლიუჩნიკოვი და ლ. ლასმანი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ანგარიში 1:1 გახლდათ. უძლიერესი მესამე შეხვედრაში უნდა გამოვლენილიყო. სამრაუნდიანი, უაღრესად დაძაბული ორთაბრძოლა მსაჯთა ქიურიმ ფრედ შეაფასა (ახალი საერთაშორისო წესდების თანახმად).

ამრიგად, საქართველოსა და ავსტრიის მოკრივეთა მესამე ტრადიციული შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 6,5:3,5.

გუშინ ავსტრიელებმა ქუთაისში გამართეს შეხვედრა ადგილობრივ მოკრივეებთან.

ე. ქელბაქიანი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — **ავსტრიის გუნდის მწვრთნელი ვ. კაცერსკი განიცდის ბრძოლის პერიპეტიებს;** მარჯვნივ — **ზ. გვაჯავასა** (მარჯვნივ) **და ფ. ჰეკის ხანმოკლე „დუელის“ მომენტი.**

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ ჯგუფი

II ჯგუფი

III ქვეჯგუფი

შედგა მორიგი ტურის შეხვედრები „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფში.

თბილისის „ლოკომოტივმა“ გასვლითი თამაში ფრედ დაამთავრა ასტრახანის „ვოლგართან“ — 1:1.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 2:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 0:0, „ვოლგა“ (გორკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 1:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „თერგი“ (გროზნო) 1:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 0:2, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „სტროიტელი“ (უფა) 4:1, „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 19 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	13	7	4	2	13—7	18
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	14	7	4	3	16—13	18
„დინამო“ (მახაჩყალა)	13	5	7	1	8—3	17
„ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი)	13	5	6	2	13—6	16
„ვოლგარი“ (ასტრახანი)	14	5	6	3	18—14	16
„ვოლგა“ (გორკი)	13	6	3	4	14—10	15
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	13	5	4	4	18—9	14
„დინამო“ (ბათუმი)	13	4	6	3	9—8	14
„ზენიტი“ (იჟევსკი)	14	4	6	4	10—12	14
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	13	4	5	4	14—10	13
„რუბინი“ (ყაზანი)	13	3	7	3	11—10	13
„ტორპედო“ (ტაგანროგი)	13	5	3	5	10—9	13
„თერგი“ (გროზნო)	13	4	5	4	11—11	13
„ფოლადი“ (სუმგაითი)	13	5	3	5	10—10	13
„ზვეზდა“ (პერმი)	14	4	5	5	10—15	13
„ვოლგა“ (ულიანოვსკი)	14	4	4	6	15—15	12
„სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა)	13	2	7	4	7—9	11
„სტროიტელი“ (უფა)	14	2	7	5	14—20	11
„მეშახტე“ (ტყიბული)	13	1	8	4	10—15	10
„ზირაკი“ (ლენინაკანი)	14	1	7	6	8—18	9
„მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი)	13	1	5	7	8—23	7

„ბ“ ჯგუფი

გათამაშების ცხრილები

რსფსრ-ს III ზონა

მდგომარეობა 19 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ბელგოროდი)	13	8	3	2	21—6	19
„ზრ. რეზერვები“ (კურსკი)	13	8	3	2	18—4	19
„სპარტაკი“ (ორიოლი)	13	6	6	1	14—6	18
„ხიმიკი“ (ბალაკოვო)	14	5	8	1	11—6	18
„დილა“ (გორი)	13	6	5	2	17—6	17
„ზროჟაი“ (მაიკოპი)	13	6	3	4	19—9	15
„მეტალურგი“ (რუსთავი)	13	6	3	4	11—7	15
„დაშკინი“ (ზაქათალა)	13	6	3	4	14—15	15
„უროჟაი“ (ლაბინსკი)	14	4	7	3	5—8	15
„ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური)	13	5	4	4	14—13	14
„ტორპედო“ (არმავირი)	13	5	4	4	14—14	14
„ენერგია“ (ვოლუსკი)	14	4	5	5	9—12	13
„ალაზანი“ (გურჯაანი)	13	5	2	6	15—15	12
„უროჟაი“ (სლავიანსკი)	13	4	4	5	12—14	12
„ტრუდი“ (ენგელსი)	13	3	6	4	10—13	12
„უროჟაი“ (სვეტლოგრადი)	14	2	8	4	8—12	12
„უროჟაი“ (ლენინგრადსკაია)	13	2	7	4	7—13	11
„უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია)	14	3	4	7	9—14	10
„ხიმიკი“ (ნევინომისკი)	13	2	4	7	7—17	8
„არაზი“ (ნახიჩევანი)	13	2	2	9	9—19	6
„ურალანი“ (ელისტა)	14	0	4	10	15—24	4

რსფსრ-ს IV ზონა

მდგომარეობა 19 ივნისისათვის

„სევანი“ (ოქტემბერიანი)	13	7	5	1	20—6	19
„ლორი“ (კიროვაკანი)	13	7	5	1	14—7	19
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	13	6	6	1	19—8	18
„სპარტაკი“ (კისლოვოდსკი)	13	5	7	1	18—7	17
„კოლხეთი“ (ფოთი)	14	7	2	5	22—9	16
„გურია“ (ლანჩხუთი)	14	7	2	5	23—16	16
„მაშუკი“ (პიატიგორსკი)	13	6	4	3	15—9	16
„უროჟაი“ (კრიმსკი)	13	4	8	1	16—11	16
„მერცხალი“ (მახარაძე)	14	5	5	4	15—20	15
„შუქურა“ (ქობულეთი)	13	4	6	3	13—12	14
„არაქსი“ (ეჩმიაძინი)	13	6	1	6	13—14	13
„ლერნაგორცი“ (კაფანი)	13	6	1	6	15—23	13
„ენგური“ (ზუგდიდი)	14	4	5	5	8—17	13
„დინამო“ (სოხუმი)	14	5	2	7	16—15	12
„მაღარელი“ (ცაგერი)	13	3	6	4	11—14	12
„უროჟაი“ (დერბენტი)	13	4	4	5	11—14	12
„სპარტაკი“ (ცხინვალი)	13	2	4	7	5—10	8
„ტრუდი“ (კასპიისკი)	13	2	4	7	8—18	8
„უროჟაი“ (გროზნო)	14	2	4	8	10—21	8
„ირისთონი“ (ზოზდოკი)	13	2	3	8	10—18	7
„კახეთი“ (თელავი)	12	1	4	7	5—17	6

ᲛᲝᲚᲝᲪᲘᲐ ᲨᲔᲕᲜᲘᲡᲣᲚᲘ ᲕᲘᲓᲝᲖᲔᲛᲘ...

ვესტეროსი. 14-16 ივნისი. ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში.

გუნდური ჩათვლა

1. სსრ კავშირი — 31 ქულა, 2. ბულგარეთი — 24, 3. უნგრეთი — 23, 4. შვეიცია — 19, 5. ჩეხოსლოვაკია — 15.

პირადი ჩათვლა

უმჩატესი წონა: 1. ი. კოჩერგინი (სსრ კავშირი), 2. პ. კიროვი (ბულგარეთი), 3. ი. ვესტერინენი (ფინეთი);

მჩატე: 1. კ. ტრაიკოვი (ბულგარეთი), 2. ი. ვარგა (უნგრეთი), 3. რ. ბიერლინი (ფინეთი);

ქვემსუბუქი: 1. ი. გრიგორიევი (სსრ კავშირი), 2. ი. შვეცი (ჩეხოსლოვაკია), 3. ი. ტოფსაკალი (თურქეთი);

მსუბუქი: 1. ვ. ნოვოხატკო (სსრ კავშირი), 2. ვ. პოიკალა (შვეცია), 3. ა. შტეერი (უნგრეთი);

ქვესაშუალო: 1. ხ. აჯარი (თურქეთი), 2. ვ. ნენადიჩი (იუგოსლავია), 3. ვ. ივლევი (სსრ კავშირი);

საშუალო: 1. ო. ბლიაძე (სსრ კავშირი), 2. პ. კრუმოვი (ბულგარეთი), 3. ი. კორმანიკი (ჩეხოსლოვაკია);

ქვემძიმე: 1. ფ. კიში (უნგრეთი), 2. ბ. რადევი (ბულგარეთი), 3. პ. სვენსონი (შვეცია);

მძიმე: 1. პ. კმენტი (ჩეხოსლოვაკია), 2. ი. კოზმა (უნგრეთი), 3. რ. სვენსონი (შვეცია).

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ?

მოსკოვი, 18 ივნისი. დამთავრდა დედაქალაქის ჩემპიონატი ჭადრაკში. 10,5-10,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა დ. ბრონშტეინმა და ტ. პეტროსიანმა.

ჩემპიონის გამოსავლენად მათ შორის გაიმართება 6 პარტიისგან შემდგარი მატჩი.

უცხოეთის ამბები

ორი ექს-ჩემპიონის მატჩი

შტუტგარტი, 18 ივნისი. თავიანთი პირველი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს გუშინ აქ ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებმა, რომლებიც საგასტროლოდ ჩამოვიდნენ ევროპაში. ერთმანეთს შეხვდა მსოფლიოს ორი ექს-ჩემპიონი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და ბრაზილიის ნაკრები გუნდები.

დაჟაბულ ბრძოლაში გამარჯვება წილად ხვდათ გერმანელ ფეხბურთელებს — 2:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ჰელმმა და დორფელმა. საპასუხო გოლის ავტორი იყო ტოსტაო.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

შვეიცარია. დამთავრდა ეროვნული ჩემპიონატი, მაგრამ I ადგილის მფლობელი არ გამოვლენილა, ვინაიდან „ციურიხმა“, „გრასჰოპერსმა“ და „ლუგანომ“ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს.

ზემოაღნიშნულ სამ გუნდს შორის მოეწყობა სპეციალური ტურნირი, რომელმაც უნდა გამოავლინოს ჩემპიონი.

პორტუგალიის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ „სეტუბალი“ და „პორტო“. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება წილად ხვდა „პორტოს“. — 2:1.

გფრ. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გფრ-იდან მონაწილეობას მიიღებს „კიოლნი“, რომელმაც მოიპოვა თავისი ქვეყნის თასი (ფინალში გაიმარჯვა „ბოჰუმთან“ — 4:1).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 07584

რედაქტორი მ. კაკაბაძე.